

საქართველოს კანონი

„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე
მუხლი 1. „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
(www.matsne.gov.ge), 16.08.2013, სარეგისტრაციო კოდი: 240080000.05.001.017035) დაემატოს შემდეგი შინაარსის
10¹ მუხლი:

„მუხლი 10¹. საინვესტიციო ფონდების ზედამხედველობის უფლებამოსილება

2014 წლის 1 მარტამდე საინვესტიციო ფონდების საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული
ბანკი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

20 ნოემბერი 2013 წ.

N1630-რს

